

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კატალოგი

ბათუმი, 2020

## სარჩევი

1	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია	3
2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	4
3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა	5
3.1.	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი	5
3.2.	ვებ-ინტერფეისის დეველოპერი	8
3.3.	ვებ-ინტერფეისის დიზაინერი	11
3.4.	ბიბლიოთეკარი	14
3.5.	პრაქტიკოსი ექთანი	17
3.6.	სატყეო საქმე	21
3.7.	არქიტექტორ - ტექნიკოსი	24
3.8.	მეფუტკრე	27
3.9.	ბუღალტრული აღრიცხვა	30
3.10.	საფინანსო სერვისები	33
3.11.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	36
3.12.	მეფუტკრეობა	39
3.13.	მებაღეობა	42
4	პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება და გასაჩივრება	46
5	პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომის გაცემა	47
6	ბსუ-ს პარტნიორები	48
7	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დამატება/განხორციელებას 2020 წლიდან გეგმავს ბსუ	49

## 1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს.

1897 წლის ივლისში ბათუმში ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა. ვაჟთა გიმნაზიის შენობაში 1935 წელს გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი 4 ფაკულტეტით. 1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი.

1945 წლის ივნისში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა პედაგოგიური ინსტიტუტი. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბრის №453 დადგენილებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N100 დადგენილების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეეცვალა სახელი და ეწოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 7 ფაკულტეტს: ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, ტექნოლოგიურ, ტურიზმისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს. დღეისათვის, უნივერსიტეტში უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 6000-მდე სტუდენტი სწავლობს.

ეტაპობრივად ფართოვდებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდებოდა სტუდენტთა რაოდენობა, მრავალფეროვანი ხდებოდა სასწავლო პროგრამები, მკვიდრდებოდა ახალი სპეციალობები, იზრდებოდნენ კადრები. ამჟამად უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია 277 პროფესორი, 69 მეცნიერ-თანამშრომელი და 460 მოწვეული მასწავლებელი.

უნივერსიტეტი ავტორიზებულია 2011 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 04 აგვისტოს №117, 2018 წლის 27 აგვისტოს №56 და 2018 წლის 27 აგვისტოს №57 გადაწყვეტილებების შესაბამისად . ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს: 11 ავტორიზირებულ პროფესიულ, 33 საბაკალავრო, 27 სამაგისტრო, 11 სადოქტორო, 3 ერთსაფეხურიან, 1 ინტეგრირებული ბაკალავრო-სამაგისტრო, 1 მასწავლებლის მომზადების და 1 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმებისათვის ბსუ ითვლება სასურველ მასპინძლად, გარდა ამისა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში.

## 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- ბაგა-ბადის აღმზრდელი - პედაგოგი (მოდულური):
- ვებ-ინტერფეისის დეველოპერი
- ვებ-ინტერფეისის დიზაინერი
- ბიბლიოთეკარი
- პრაქტიკოსი ექთანი
- სატყეო საქმე
- არქიტექტორ - ტექნიკოსი
- მეფუტკრე
- ბუღალტრული აღრიცხვა
- საფინანსო სერვისები
- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
- მეფუტკრეობა
- მეზღვაობა

### 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა

#### 3.1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი (მოდულური):

საფეხური: მე-5

სარეგისტრაციო ნომერი: 01101-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების ცენტრებში და ა. შ.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძლიერების პრინციპების გამოყენებით
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 111 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 141 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	2	ხატვა	5
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	12	მერწვა	2
უცხოური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-ბაგა-ბალის აღმზრდელი პედაგოგი	6	ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია	3
		ადრეული განვითარების თავისებურებები	6		
		ადრეული განათლების კურიკულუმი	6		
		ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	6		
		სააღმზრდელო გარემო	6		
		სააღმზრდელო პროცესი	6		
		სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	6		
		სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	5		
		სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები	5		
		დაკვირვება და შეფასება	5		
		განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები	6		
		ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება	4		
		ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	6		
		პროფესიული ეთიკა	3		
სულ:	11	სულ:	90	სულ:	10

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქართული ენა A2 და B1: ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.2. ვებ-ინტერფეისის დეველოპერი (მოდულური):

საფეხური: მე-3

სარეგისტრაციო ნომერი: 06106-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებსტუდიაში, ციფრული მარკეტინგის სააგენტოში, ონლაინ კომპანიაში და ნებისმიერი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, რომელიც აქტიურად ანახლებს თავის ვებსაიტს. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება. პროგრამის მიზანი: პირს მისცეს ვებინტერფეისის დეველოპერისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკულიუნარ-ჩვევები, რათა მან შეძლოს ვებსაიტის მარკირება მოცემული დიზაინისგან, საიტის გაფორმება სტილებითა და ინტერაქტიული ელემენტებით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ვებ საიტის სტრუქტურის აგება,
- ვებ გვერდზე ობიექტების, ფორმებისა და ბმულების ასახვა;
- ვებ საიტის ელემენტების გაფორმება სტილებით და მორგება სხვადასხვა მოწყობილობებზე;
- საიტის დინამიური ელემენტების შესაქმნელად შესაბამისი ბიბლიოთეკის მოძიება, გაცნობა/რედაქტირება და ინტეგრაცია ვებ გვერდთან;
- მარტივი ინტერაქტიული ამოცანის გადაწყვეტა JavaScript ენის გამოყენებით;
- ვებ საიტის დიზაინის აწყობა საიტის მართვის სისტემის გამოყენებით;
- შექმნილი ნამუშევრის ხარისხის უზრუნველყოფა W3C სტანდარტების შესაბამისად.



პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 61 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 12 სასწავლო თვე

**პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-ვებ ინტერფეისის დეველოპერი	2		
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ვებ ინტერფეისის დეველოპერი	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-ვებ ინტერფეისის დეველოპერი	5		
მეწარმეობა 1	2	რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება	5		
უცხოური ენა	4	საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების გამოყენება - java script	3		
სამოქალაქო განათლება	2	საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	5		
		საიტის მართვის სისტემები	5		
		ვებ სერვერთან ურთიერთობა	1		
		დარგობრივი ინგლისური ენა ვებ ტექნოლოგიებში	2		
		ვებ საიტის მარკირება - html	3		
		საიტის სტილებით გაფორმება - css	3		
		ვებ მარკირების გაფართოებული შესაძლებლობები (HTML5, CSS3)	3		
სულ:	16	სულ:	45	სულ:	0

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქართული ენა A2: ქართული ენა A-2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.3. ვებ-ინტერფეისის დიზაინერი (მოდულური):

საფეხური: მე-3

სარეგისტრაციო ნომერი: 06107-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებ სტუდიაში, ციფრული მარკეტინგის ან სხვა ტიპის სარეკლამო სააგენტოში და ონლაინ კომპანიაში. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

პროგრამის მიზანი: პირს მისცეს ვებ ინტერფეისის დიზაინერისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, იმისათვის რომ დაამზადოს ორგანიზაციის ან კერძო პირების ხარისხიანი ვიზუალური პრეზენტაცია ვებ სივრცეში; შეძლოს ვებ საიტებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ვიზუალური ელემენტების (ფოტო/ილუსტრაციები) შექმნა და დამუშავება; შეძლოს ვებ საიტის ინდივიდუალური და შემდგომ იმ ინტერფეისის აგება; აგებული ინტერფეისისთვის, სხვადასხვა ტიპის ინტერაქტიული ელემენტების გამოყენება და ასევე თავისი ეფექტების შემუშავება.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- რასტრული და ვექტორული გამოსახულების შექმნა, რედაქტირება/ტრანსფორმაცია სხვადასხვა ეფექტებით დამუშავება, თვისებების განსაზღვრა, სასურველ ფორმატში შენახვა
- ვებ საიტის კონცეფციის შემუშავება
- ვებ საიტის ინტერფეისის გრაფიკული დიზაინის მომზადება გრაფიკულ რედაქტორების საშუალებით
- ვებ საიტის ინტერაქტიული პროცესების სცენარის ჩამოყალიბება და შესაბამისი ვიზუალური ელემენტების შემუშავება/შერჩევა
- მარტივი ვებ საიტის მარკირება და სტილებით გაფორმება

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 63 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 78 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 10 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 12 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	გაცნობითი პრაქტიკა-ვებ ინტერფეისის დიზაინერი	2		
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-ვებ ინტერფეისის დიზაინერი	8		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი - ვებ ინტერფეისის დიზაინერი	5		
მეწარმეობა 1	2	ინტერაქტიული ელემენტების გრაფიკული დიზაინის მომზადება	3		
უცხოური ენა	4	ვებ საიტის მარკირება - html	3		
სამოქალაქო განათლება	2	საიტის სტილებით გაფორმება - css	3		
		ვებ მარკირების გაფართოებული შესაძლებლობები (HTML5, CSS3)	3		
		საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების გამოყენება - java script	3		
		დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	2		
		რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება	5		
		ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator)	5		
		ვებ ინტერფეისის გრაფიკული დიზაინის მომზადება	5		
სულ:	16	სულ:	47	სულ:	0

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

ქართული ენა A2: ქართული ენა A-2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.4. ბიბლიოთეკარი (მოდულური):

საფეხური: მე-4

სარეგისტრაციო ნომერი: 03202-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: ბიბლიოთეკარის პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

პროგრამის მიზანი: პირს მისცეს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზება
- ფონდის დაკომპლექტება
- ფონდის მართვა
- ფონდის დაცვა
- საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა
- საბიბლიოთეკო მომსახურება
- კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 94 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 124 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 18 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	2	რუსული ენა	4
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	12	ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში	2
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი - ბიბლიოთეკარი	6	საბიბლიოთეკო მარკეტინგი	2
მეწარმეობა 2	2	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	3		
უცხოური ენა	5	ფონდის დაკომპლექტება	5		
		ფონდის მართვა	10		
		ფონდის დაცვა	7		
		საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	10		
		საბიბლიოთეკო მომსახურება	8		
		კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	8		
სულ:	15	სულ:	71	სულ:	8

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქართული ენა A2 და B1: ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც

ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“



### 3.5. პრაქტიკოსი ექთანი (მოდულური):

საფეხური: მე-5

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სარეგისტრაციო ნომერი: 09101-პ

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო

პროგრამის მიზანი: მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთანის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის

ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 134 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 164 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 22 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 27 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	2	ექთან-ანესთეზისტის საქმე	2
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	12	გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	2
უცხოური ენა	5	პრაქტიკული პროექტი - პრაქტიკოსი ექთანი	6	კვება და დიეტა	2
		ავადმყოფის მოვლა	6	პალიატიური პაციენტის საექთნო მოვლა	2
		გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4	მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიებსა და დიაგნოსტიკის ცენტრებში	2
		დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	2	საოპერაციო ბლოკის ექთნის საქმე	2
		ენდოკრინოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	2	სწავლების პრინციპები საექთნო საქმეში	2
		თავისა და კისრის პათოლოგიით პაციენტის საექთნო მართვა	2	ფიზიოთერაპია	2
		თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6		
		ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში	4		

		ინფექციური პაციენტის საექთნო მართვა	4		
		კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	6		
		ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4		
		ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3		
		პაციენტის ფიზიკური შეფასება	8		
		პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	5		
		პირველადი გადაუდებელი დახმარება	2		
		რეაბილიტაცია საექთნო საქმეში	2		
		საექთნო პროცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4		
		საექთნო პროცედურები და მანიპულაციები	6		
		სამედიცინო ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2		
		ფარმაკოლოგიის საფუძვლები საექთნო საქმეში	5		
		ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	3		
		ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	7		
სულ:	11	სულ:	107	სულ:	16

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქართული ენა A2 და B1: ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.6. სატყეო საქმე (მოდულური):

ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: სატყეო საქმე /Forestry

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 08201-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Forestry

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური სატყეო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელებას. კერძოდ, ხე-ტყის დამზადებას, დახარისხებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა), უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

**დაშვების წინაპირობა** - პროგრამის დანართი N1-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე დაშვების წინაპირობაა **სრული ზოგადი განათლება**.

#### დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სატყეო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციებში (ლიცენზიის მფლობელები).

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 02.1; 02.10; 02.10.0; 02.2; 02.20; 02.20.0;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 9215

#### სტრუქტურა და მოდულები

- სატყეო საქმეში მეოთხე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 48 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 33 კრედიტი - პროფესიული მოდულები. სწავლების ხანგრძლივობა 10 სასწავლო თვე;
- მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 78 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია

„ქართული ენა A2“ მოდულის და 15 კრედიტი „ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლების ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	მეწარმეობა 2	2
5	უცხოური (ინგლისური) ენა	5
სულ:		<b>15</b>
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე	1
2	ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	3
3	პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე	2
4	ხე-ტყის დამზადება	6
5	ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	5
6	ტყის აღდგენა-გაშენება	7
7	ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან	2
8	ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა	2
9	საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე	5
სულ		<b>33</b>

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტებზე.

**კვალიფიკაციის მინიჭება** - პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

ქართული ენა A2 და B1: ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.7. არქიტექტორ - ტექნიკოსი (მოდულური):

საფეხური: მე-4

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტორ-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სარეგისტრაციო ნომერი: 07302-3

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საპროექტო ორგანიზაციებში, ბიუროებში, საქალაქო სამსახურებში, არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზაციებში, სამშენებლო კომპანიებში, ფირმებში, შპს-ებში, დიზაინერული პროფილის ფირმებში და ა.შ. მცირემოცულობის არქიტექტურულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მეწარმეობა; აქვს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს აითვისოს უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა არქიტექტურული დაგეგმარების საკითხებში. გამოიყენოს არქიტექტურული ინფორმატიკისა და კომპიუტერული დაგეგმარების საშუალებები უახლესი არქიტექტურული პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.

პროგრამის მიზანი: მოამზადოს არქიტექტორ-ტექნიკოსი, რომელიც შეძლებს პროექტის ხელმძღვანელის დახმარებას არქიტექტურულ-სამშენებლო საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში; საპროექტო ტერიტორიის ან სარეკონსტრუქციო შენობის არქიტექტურულ აზომვას: ესკიზიდან სათანადო ნახაზების შესრულებას, ტრადიციული, გრაფიკული მეთოდით და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით; ქალაქგეგმარებითი პროექტის წაკითხვას, წინასაპროექტო კვლევის ჩატარებას, მასალის კომპიუტერულ დამუშავებას, სივრცულ ფოტოგრაფირებას, მაკეტირებას; საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენას.

სწავლის შედეგები:

- არქიტექტურული ობიექტის ესკიზური პროექტის საფუძველზე მუშა პროექტის ნახაზის შესრულება /გამოხაზვა/;
- არქიტექტურულ ობიექტზე აზომვითი სამუშაოების შესრულება;
- არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია;



- არქიტექტურული ნახაზის შესრულება ტრადიციული გრაფიკული მეთოდით;
- არქიტექტურული ნახაზის შესრულება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით;
- არქიტექტურული ობიექტის მაკეტის შესრულება;
- საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 84 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 14 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 16 სასწავლო თვე

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-არქიტექტორ-ტექნიკოსი	2	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა AutoCAD Architecture	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-არქიტექტორ-ტექნიკოსი	12		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	პრაქტიკული პროექტი-არქიტექტორ-ტექნიკოსი	6		
მეწარმეობა 2	2	არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები - 1	3		
უცხოური ენა	5	არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები - 2	3		
		არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები - 3	3		
		კომპოზიცია, ქანდაკება, გრაფიკა, ფერი	4		
		ობიექტის, შენობა-ნაგებობების ფიქსაცია - აზომვა	3		
		მაკეტირება არქიტექტურაში	3		
		არქიტექტურული ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია	3		
		კონსტრუქციები არქიტექტურაში	3		

		კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD	5		
		საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1(2d LT)	5		
		გრაფიკული რედაქტორი Coreldraw	3		
		გრაფიკული რედაქტორი Photoshop CS	3		
		საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა Revit architecture - 3D მოდელირება	5		
სულ:	15	სულ:	66	სულ:	3

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა: სწავლის შედეგების სრულად მიღწევა გათვალისწინებულია ბსუ-ში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის: შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

ქართული ენა A2 და B1: ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

„მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით“

### 3.8. მეფუტკრე (მოდულური):

საფეხური: მე-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია  
სარეგისტრაციო ნომერი: 08101-3

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

პროგრამის მიზანი: უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
- მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
- ფუტკრის მოვლა-პატრონობა
- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 76 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 91 კრედიტი;

